

ქართული საპროცესო შეთანხმების ინსტიტუტი და საერთაშორისო ასპექტები ბესიკ ქვარცხავა / Besik Qvartskhava

ნაშრომში დასმულია საპროცესო შეთანხმების ინსტიტუტის, როგორც სამართლებრივი ინსტიტუტის გამოვლენისა და განსაზღვრის მიზნით სამართლებრივ მეთოდოლოგიური პოზიციის შემუშავების პრობლემა.

პრობლემის არსი

ნაშრომში განხილული პრობლემის არსს წარმოადგენს საპროცესო შეთანხმების ინსტიტუტთან მიმართებაში სამართლებრივ-მეთოდოლოგიური პოზიციის განსაზღვრა. ნაშრომის თემა

სამეცნიერო ნაშრომის თემა არის „ქართული საპროცესო შეთანხმების ინსტიტუტი და საერთაშორისო ასპექტები“ თემა წარმოდგენილია ნაშრომში პრობლემათა კომპლექსის სახით.

თემის აქტუალობა

თემის აქტუალობას განაპირობებს საპროცესო შეთანხმების ინსტიტუტის სამართლებრივად მარეგულირებელი ნორმების არასრული და თანამედროვე მოთხოვნების მიმართ არადადამაკმაყოფილებელი დონე.

თემის მიზანი

თანამედროვე ქართული შიდა სახელმწიფოებრივი სისხლის სამართლის სისტემაში საპროცესო შეთანხმების ცნების არსობრივი დატვირთვის განხილვა, ანალიტიკური შესწავლა, შედარებითი ანალიზი სხვა სახელმწიფოებში მოქმედ სისტემებთან მიმართებაში, სამართლებრივ ჭრილში შეფასება და ხსენებული ინსტიტუტის მარეგულირებელი ნორმების შინაარსობრივი შევსების ანალიზი საკანონმდებლო სრულყოფის მიზნით.

სამეცნიერო სიახლე

1. საპროცესო შეთანხმების ინსტიტუტი წარმოდგენილია შიდასახელმწიფოებრივი სამართლის ჭრილში და მის მიმართ კომპლექსური ხასიათის სამართლებრივი-მეთოდოლოგიური შემუშავება.
2. საპროცესო შეთანხმების კანონმდებლობაში ნორმატიული რეგულირების გარშე არსებული საკითხების სამართლებრივ-თეორიული გადაწყვეტა.
3. საპროცესო შეთანხმების სამართლებრივი ინსტიტუტის ახლებური გააზრება და მისი მნიშვნელობის უნივერსალური მოდელის პარამეტრების განსაზღვრა.
4. საპროცესო შეთანხმების ინსტიტუტის წარმოჩენა ქართულ პრაქტიკაში პრობლემატურ ფენომენად და მის მიმართ სამართლებრივ-თეორიული პოზიციის შემუშავება.

წინამდებარე ნაშრომში წარმოდგენილია საპროცესო შეთანხმების ინსტიტუტის რამოდენიმე პრობლემატური საკითხი. ნაშრომი შედგება შესავლის სამი პარაგრაფისა და დასკვნისაგან.

ნაშრომს თან ერთვის:

- ციტირებული ლიტერატურის ნუსხა;
- ბიბლიოგრაფია;

სარჩევი;

პარაგრაფებში თანმიმდევრულად არის განხილული ის პრობლემატური საკითხები, რომლებიც მოცემულია სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსში და რომლებზეც პასუხის გაცემა წარმოადგენს წინამდებარე ნაშრომის ამოცანას.

ერთი შეხედვით შეიძლება ითქვას საპროცესო შეთანხმების სამართლებრივი ინსტიტუტი საქართველოში მოქმედი კანონმდებლობით არ შეიცავს ხარვეზებს და შეესაბამება დღევანდელ დღეს არსებულ რეალობას, რაც მცდარი მოსაზრებაა, ვინაიდან მართლ წინამდებარე ნაშრომზე მუშაობის პროცესში წამოიჭრა მრავალი პრობლემატური და ნორმატიული რეგულირების გარეშე არსებული საკითხი რომელთა გადაწყვეტაც აუცილებელია, როგორც მეცნიერული თვალსაზრისით, ისე საკანონმდებლო და პრაქტიკული თვალსაზრისით.

ნაშრომის პირველ პარაგრაფში განხილულია საპროცესო შეთანხმების ინსტიტუტის მოკლე ისტორიული ექსკურსი, საქართველოს კანონმდებლობაში მისი შემოღების საფუძვლები და არსი. ასევე მოცემულია იურისტების მოსაზრებები აღნიშნულ ინსტიტუტთან მიმართებაში როგორც პრაქტიკული ასევე თეორიული თვალსაზრისით.

ნაშრომის მეორე პარაგრაფი ეხება საპროცესო შეთანხმების საკანონმდებლო მიმოხილვას, მის ევოლუციას, შედარებით ანალიზს სხვა ქვეყნების საკანონმდებლო რეგულირებასთან მიმართებაში. დასმულია რამდენიმე პრობლემატური საკითხი და რომელთა ნაწილზეც მიღებულია კონკრეტული პასუხი და ასევე მოცემულია ავტორისეული ხედვა რომელსაც ახლავს კონკრეტული წინადადებები საკანონმდებლო ნორმების სრულყოფის მიზნით. ნაშრომის მესამე პარაგრაფში მოცემულია ოფიციალური სტატისტიკური მასალები, რესპოდენტების მოსაზრებების და არასამთავრობო უფლებადამცველი ორგანიზაციების მიერ მოწოდებული ინფორმაციის სახით (ანგარიშები). ამ მონაცემების საფუძველზე განხილულია ზოგადი სიტუაცია, დასმულია მრავალი პრობლემატური საკითხი რომლებიც გამოტანილია ცალკე და საჭიროებს დამატებით კვლევას, ანალიზს და გადაწყვეტას საკანონმდებლო დონეზე.

ნაშრომის დასასრულს მოცემულია დასკვნა, რომელშიც ჩამოყალიბებულია თანმიმდევრულად წინამდებარე ნაშრომში განხილული პრობლემატური საკითხები, რომელთა გადაწყვეტაც ავტორის აზრით აუცილებლობას წარმოადგენს და ასევე ავტორისეული ხედვა საკანონმდებლო ნორმების სრულყოფის მიზნით.

პარაგრაფი I

საპროცესო

შეთანხმების არსი 2004

წლის

შეთანხმება“

თებერვალში სისხლის
სამართლის საპროცესო
კოდექსის

დაემატა.

6791 მუხლში 1 „საპროცესო

კანონი ამ მუხლს მოდავე
მხარეებს შორის
მორიგებად განმარტავს
უფრო